პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 19 (10413) | კვირა, 22 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო, აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატები.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას—ყველა ჩვენი გამარჯვებებისა და ორგანიზატორს!

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა პირველი პლენუმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობამ აირჩია.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. მ. პ. გიორგაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულნი არიან ამხანაგები **დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, მ. ი. კუჭავა, ი. ი. ფედიუნინსკი, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეულნი არიან ამხანაგები **ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე.**

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **დ. ვ. გელაშვილი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

ი. ბ. აბაშიძე
გ. ა. ალავიძე
ს. ა. ბანიხი
პ. ე. ბაქრაძე
პ. ნ. ბაქრაძე
ი. ვ. ბერძენი
ა. ა. ბლრციანი
ა. ი. ბონდარევი
ბ. ს. ბუკია
ნ. ი. ბუჯიაშვილი
გ. ა. გეგეშიძე
ზ. ბ. გელდიაშვილი
ა. ა. გიგოშვილი
პ. გ. გილაშვილი
მ. პ. გიორგაძე
ნ. ა. გიორგაძე
კ. ნ. გოგლიძე
ნ. გ. გომელაური
ო. დ. გოცირიძე
ა. ლ. გუნია
გ. ნ. ზამბახიძე
გ. დ. თავმაიშვილი
მ. ე. თოფურიძე
ა. დ. თხილაიშვილი
ო. ს. ივანიკოვა
ა. ნ. ინაური
ი. ი. კავილაძე
ა. თ. კარტოზია
ზ. ნ. კეცხოველი
ზ. ა. კვაჭაძე
ვ. დ. კოზაევი
შ. თ. კოხრეიძე
ვ. დ. კუპრაძე
მ. ი. კუჭავა
ა. მ. ლაბახუა
თ. ვ. ლაშქარაშვილი
მ. მ. ლელაშვილი
დ. გ. მამაცაშვილი
დ. მ. მამულაძე
მ. კ. მაღრაძე
მ. ა. მეგრელიშვილი
ა. ე. მელაძე
ა. ი. მიგრიაული
ვ. პ. მჟავანაძე
ნ. ი. მუსხელიშვილი
დ. ვ. მჭედლიშვილი
ო. მ. ნემსაძე
ნ. ლ. ოსინი
ი. გ. რთველიაშვილი
ს. ს. როსტიაშვილი
გ. გ. სანაკოევი
გ. ს. სეხნიაშვილი
ე. ა. სეხნიაშვილი
ე. პ. ტაკიძე
ა. ვ. ტიმოფეევა
ლ. მ. უკლება
ი. ი. ფედიუნინსკი
გ. ს. ფირცხალავა
გ. ი. ქადაგიძე
ვ. გ. ქერქაძე
მ. ბ. ღვინჯილია
მ. ყ. ყულიევი
თ. ა. ყუფუნია
გ. ი. შარაშიძე
ა. ს. შენგელია
შ. ს. შეყლაშვილი
მ. გ. ჩიქოვანი
გ. ი. ჩოგოვაძე
მ. დ. ჩუბინიძე
ს. კ. ჩხარტიშვილი
ბ. ა. ჩხეიძე
მ. ფ. ჩხეიძე
დ. ი. ჩხიკვიშვილი
ი. ი. ჩხიკვიშვილი
ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი
კ. ს. ციმაკურიძე
შ. ი. ჭანუყვაძე
ნ. ე. ჭახრაკია
ა. ვ. ჭირაქაძე
დ. ა. ჭიჭინაძე
ი. რ. ხვედელიანი
გ. ა. ჯაბუა
გ. დ. ჯავახიშვილი
თ. ბ. ჯანელიძე
ვ. ნ. ჯანჯღავა
ე. მ. ჯაფარიძე
ნ. უ. ჯაში
გ. ნ. ჯიბლაძე
ნ. მ. ჯიბლაძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

ო. ნ. აივაზაშვილი
ე. ვ. ალანია
ზ. მ. ბიძინაშვილი
ვ. ი. გაზაევი
კ. ლ. გურგენიძე
ა. მ. დავითაშვილი
თ. ნ. დავითაშვილი
მ. დ. დავითაშვილი
ი. ს. დოლიძე
ვ. გ. ესაიაშვილი
ვ. ი. ვადაჭკორია
ე. ზ. თავაძე
ი. კ. თარბა
დ. ა. ივაშჩენკო
კ. ს. კაპანაძე
ნ. კ. კახაძე
შ. ს. კახიძე
გ. ი. კეჩხუაშვილი
ვ. ს. კვარაცხელია
ი. ნ. ლაღიძე
კ. მ. ლომაძე
ა. კ. მაკაროვი
დ. ბ. მამედოვი
ვ. ვ. მირიანაშვილი
ი. ს. ორჯონიკიძე
ვ. ა. პაატაშვილი
ზ. ნ. პოღოსიანი
ს. ტ. რიგვავა
ხ. ნ. ტულჩინი
ი. ზ. უზნაძე
ზ. ს. უზუნაშვილი
ვ. ტ. ურუშაძე
ა. მ. ქონიაძე
კ. ნ. შავიშვილი
ვ. დ. შარაძენიძე
შ. ტ. შუბითიძე
ვ. დ. ჩალაძე
გ. გ. ჩაჩხიანი
ა. გ. ჩიქოვანი
ვ. ა. ჩოფიკაშვილი
პ. კ. ცაგარეიშვილი
ვ. ლ. ჭანკოტაძე
შ. ვ. ხიდაშელი

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

პ. ს. აბესაძე
ა. ა. ავაზაშვილი
ტ. ი. ალექსიშვილი
გ. ვ. არევაძე
დ. მ. ბაღათურია
ვ. ა. ბურდული
დ. ვ. გელაშვილი
ა. გ. გობრონიძე
დ. ვ. გოგოხია
შ. ლ. ვასაძე
გ. გ. თვალჭრელიძე
მ. ყ. ლომიძე
გ. ე. მაცაბერიძე
ვ. ი. მელქაძე
დ. ხ. საბაშვილი
მ. მ. სამხარაძე
ვ. მ. სირაძე
ნ. ი. ფანცულაია
ა. ს. ქემოკლიძე
დ. ა. ქვლივიძე
შ. გ. ცომაია
ნ. ზ. ცხოვრებოვი
დ. ა. ხვარცკია
ნ. ს. ჯავახაძე

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე გასაგზავნად არჩეული დელეგატები

გადამწყვეტი ხმის უფლებით

ი. ბ. აბაშიძე
ს. ა. ბანიხი
ა. ა. ბლრციანი
ზ. ვ. გელდიაშვილი
მ. პ. გიორგაძე
ნ. გ. გომელაური
ო. დ. გოცირიძე
ე. ი. გრომოვი
დ. ა. ივაშჩენკო
ა. ნ. ინაური
ვ. ს. კვარაცხელია
ზ. ა. კვაჭაძე
მ. ი. კუჭავა
ა. მ. ლაბახუა
მ. მ. ლელაშვილი
დ. გ. მამაცაშვილი
დ. მ. მამულაძე
მ. კ. მაღრაძე
ვ. პ. მჟავანაძე
ნ. ი. მუსხელიშვილი
დ. ვ. მჭედლიშვილი
ი. ს. ორჯონიკიძე
გ. ვ. რაჭველიშვილი
ი. გ. რთველიაშვილი
ნ. ი. როდომანჩენკო
გ. გ. სანაკოევი
ე. ა. სეხნიაშვილი
დ. ს. ტაკიძე
ე. პ. ტაკიძე
ი. ი. ფედიუნინსკი
ვ. გ. ქერქაძე
ნ. ს. ყოჩიაშვილი
თ. ა. ყუფუნია
მ. დ. ჩუბინიძე
ი. დ. ჭუმბურიძე
მ. ვ. ხრუნიჩევი
გ. დ. ჯავახიშვილი
თ. ბ. ჯანელიძე

სათათბირო ხმის უფლებით

დ. ბ. მამედოვი
ქ. გ. მახარაძე

დაიხურა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

21 იანვარს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის მეექვსე სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

ყრილობა იღებს რეზოლუციას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატების ასარჩევად კენჭისყრის შემდეგ ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. **პ. კ. ცაგარეიშვილს.** იგი ამბობს, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატებად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა მხურვალე ტაშით იღებს მისალმებათა ტექსტს სომხეთის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობისა და თურქმენეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობისადმი.

დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობისადმი სომხეთის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებათა ტექსტების გამოქვეყნებას.

ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობას დახურულად აცხადებს.

ყველანი ფეხზე დგებიან. ქუხს ოვაცია. დარბაზში გაისმის შეძახილები დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის პატივსაცემად, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად.

ყრილობის დელეგატები ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

ახალი შრომითი გამარჯვებებისაკენ ყამირ მიწებზე

თათბირი კოლმეურნეებისა და ახალგაზრდოებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში

ციმბირის, ალტაისა და ყაზახეთის თვალუწვდენი სივრცეებიდან, ვოლგისპირეთისა და იმიერურალის ველებიდან, შორეული ამურის ოლქიდან და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის სხვა რაიონებიდან მოსკოვში შეკრებნენ ახალგაზრდა ენთუზიასტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. 20 იანვარს ისინი შეიკრებნენ კრემლის დიდ სასახლეში, სადაც ორი წლის წინათ პირველმა მოხალისეებმა საქვეყნოდ დადეს ფიცი მთელი კომკავშირული გატაცებით დაეწყოთ ახალი დიადი საქმე, რომელიც მათ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიანდეს.

შშოლიური პარტიის მამობრივი დარიგებით ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ძველ მეცხოვრებლებთან, გამოცდილ მხვნელ-მთესველებთან ერთად, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით, გაატეხეს 30 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა. სამშობლომ მილიონობით ფუთი საუკეთესო მარცვლეული მიიღო დამატებით.

ახლა ყამირის ახალგაზრდა დამშრომელებელნი მოწვეულნი არიან მოსკოვში, რათა შეჯამონ შესრულებული მუშაობის შედეგები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, ბოლშევიკური პირდაპირობით გამოაშკარაონ ნაკლოვანებანი, ილაპარაკონ იმაზე, თუ კიდევ რა უშლის ხელს მუშაობას და რა არის საჭირო იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვიტონ ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა ყამირი და ნასვენი მიწების მშრომელთ 1956 წელს.

დილის 10 საათისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში კრემლში შეიკრიბა ყველა იმ ოლქის ათასზე მეტი წარმომადგენელი, რომლებიც ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად მუშაობენ. თათბირს ესწრებიან სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, ტრაქტორისტები, კომბაინერები, მიმბმელები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, მშენებლები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორები, კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშანი „ახალი მიწების ათვისებისათვის“, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის მედალი.

თათბირი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის, დამზადებათა, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების დავალებით გახსნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ნ. შელეპინმა.**

თათბირის მონაწილენი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან წინადადებას, რომ არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

დამტკიცდა თათბირის დღის წესრიგი და მუშაობის წესი. გადაწყდა განიხილონ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ი. ა. ბენედიქტოვის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ვ. ვ. მაცკევიჩის მოხსენებანი და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება „კომკავშირელთა და ახალგაზრდობის შემდგომი ამოცანები ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებასა და მარცვლეულის წარმოების გადიდებაში“.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრს ი. ა. ბენედიქტოვს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ამბობს ამხ. ბენედიქტოვი, სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელი ჩვენი ხალხის აქტიური მხარდაჭერით შეუპოვრად ებრძვიან სოფლის მეურნეობის აღმავლობის ვრცელი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება.

სოფლის მეურნეობის მუშაკები დღეს მოხარული არიან მოახსენონ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, მთელ ჩვენს ხალხს, რომ შესრულებულია ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის დავალება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. ორ წელიწადში საბჭოთა მეურნეობებმა მოხნეს 13 მილიონ 640 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა, მოეწყო მარცვლეულის 425 ახალი საბჭოთა მეურნეობა.

საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც ახალი მიწების ათვისებაზე მუშაობენ, კომუნისტური პარტიის მოწოდებით ჩავიდა 233 ათასი მუშა, ხოლო მშენებლებთან ერთად — 300 ათასზე მეტი. მოხალისეთა ძირითადი მასა ჩავიდა ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან. დიდი სურვილით ჩაებნენ მუშაობაში საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული მეომრები.

ამ ენთუზიასტების შრომითი გმირობა და სიმტკიცე გამოვლინდა პირველსავე პერიოდში, როცა დაიწყო დაბების ცენტრების მშენებლობა და ყამირის ხვნისათვის მზადება ზამთრის მკაცრ პირობებში, გაზაფხულის უგზოობის ვითარებაში, როცა არ იყო საცხოვრებელი შენობები, მუშაობა მიმდინარობდა დასახლებულ პუნქტებზე არაერთი ასეული კილომეტრის დაშორებით. უკვე 1954 წელს — ყამირის ათვისების პირველ წელს დაითესა ასეულ ათასობით ჰექტარი ახალი მიწა. მიღებულმა მოსავალმა განამტკიცა იმის რწმენა, რომ ყამირი მიწები მარცვლეულის წარმოების გადიდების უდიდესი წყაროა.

ამინდის პირობები შარშან მეტად არახელსაყრელი იყო. მაგრამ ამ პირობებშიც ყამირზე მოსავალი, როგორც წესი, მეტი მოვიდა, ვიდრე ძველნახნავ მიწებზე.

ყამირის ათვისებისათვის კარგი მუშაობის გამო 65 ახალი საბჭოთა მეურნეობა, ასობით ბრიგადა და ათასობით მოწინავე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ დაამტკიცეს.

ყამირი მიწების ასათვისებლად სახელმწიფომ უხვად აღჭურვა სოფლის მეურნეობა დიდი წარმადობის უახლესი ტექნიკით. მარტო საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ამ მიწების ათვისებაზე მუშაობენ, მიიღეს 36 ათასი მუხლუხა ტრაქტორი, 25 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 14 ათასი სატვირთო ავტომობილი, დიდძალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და სხვადასხვანაირი მოწყობილობა.

მომხსენებელმა აღნიშნა პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტის მითითებანი, რომ საჭიროა ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისება, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ კაპიტალდაბანდებას, იძლევიან კარგ, მყარ მოსავალს, რაც ხელს შეუწყობს იმ დიადი ამოცანის განხორციელებას, რომელიც დასახეს პარტიამ და მთავრობამ — გავაღიდოთ მარცვლეულის საერთო მოსავალი 11 მილიარდ ფუთამდე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ვ. ვ. მაცკევიჩი** ამბობს, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ წლებში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. ამის შედეგად 1955 წელს კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა გაადიდეს მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიმინდის მარცვლეულის წარმოების გადიდებაში, ილაპარაკა იმაზე, რომ ამ კულტურას ჯერ კიდევ ვერ აფასებენ საკმაოდ ახალ რაიონებში, განსაკუთრებით ყამირის ათვისების რაიონებში. ამავე დროს ხომ სწორედ სიმინდმა გადიდა ჩვენს ქვეყანაში პირუტყვის რძის პროდუქტიულობა გასულ წელს 187 კილოგრამით ერთ ძროხაზე, გადიდა ხორცის წარმოება.

ამხ. მაცკევიჩი ყამირ მიწებს უწოდებს მარცვლეულის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანეს რეზერვს. მტს-ებმა ორ წელიწადში მოხნეს 17,9 მილიონი ჰექტარი ყამირი. უკვე 1954 წელს ციმბირის რაიონებში ერთიანად მეტი პური მოიყარეს, ხოლო ალტაის მხარეში — თითქმის ერთიანად მეტი, ვიდრე 1953 წელს.

მომხსენებელი შემდეგ აღნიშნავს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია და მთავრობა იმას, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში შეიქმნას საჭირო საბინაო, საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობები. 1954-55 წლებში ყამირი მიწების ათვისების რაიონების მტს-ებში მშენებლობისათვის სახელმწიფომ გამოჰყო 2,3 მილიარდ მანეთზე მეტი. ორი წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 400 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ახალ ხუთწლედში უნდა აშენდეს 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია თვითონ ახალგაზრდობასაც, რომელიც უფრო აქტიურად უნდა ჩაებას მშენებლობაში, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება.

შემდეგ მოხსენება გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. ნ. შელეპინმა.** ყამირი მიწების ათვისება, თქვა მან, შესანიშნავ გმირობად ჩაიწერება კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელოვან საქმეთა მატიანეში. მილიონნი მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა შეიტანა განცხადება კომკავშირის კომიტეტებში და ითხოვა ყამირზე გაგზავნა. ამ პატრიოტულმა მისწრაფებამ მთელი სიღრმით გამოავლინა საბჭოთა ახალგაზრდობის შესანიშნავი თვისებები, სამშობლოსადმი, ხალხისადმი სიყვარული, უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიის საქმისადმი.

ახალ მიწებზე, ამბობს მომხსენებელი, თავი მოიყარეს მტკიცე ხასიათის ადამიანებმა. ისინი სიძნელეებმა ვერ შეაშინა. ყამირის დასამორჩილებლად ბრძოლა ცხოვრების ნამდვილი სკოლა, კომუნიზმის სკოლაა ახალგაზრდობისათვის. აქ გაიზარდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ოსტატები. 9 ათასზე მეტი მთგანი დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშნით „ახალი მიწების ათვისებისათვის“, 5 ათასი — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

ეხება რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით დასახულ ამოცანებს, მომხსენებელი ცხადყოფს, თუ რის გაკეთება შეუძლია კომკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც ინიციატივას იჩენს, რომელსაც უნარი შესწევს გამოავლინოს და გამოიყენოს ახალი რეზერვები სახელმწიფოს, ხოლო, მაშასადამე, ახალმოსახლეთა ინტერესებისთვისაც.

ახალგაზრდა ენთუზიასტები, ამბობს ამხ. შელეპინი, სტუმრად კი არ წავიდნენ აღმოსავლეთ რაიონებში, არამედ მუდმივ საცხოვრებლად. პირველ ხანებში მათ უჭირდათ, ყველაფერი ახლად უნდა შეექმნათ. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სიმტკიცით გადაიტანეს სიძნელეები. ორ წელიწადში ველებში გაჩნდა კეთილმოწყობილი დაბები, ახლა თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობა ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. 1955 წელს ყამირ მიწებზე შექმნილ მშენებელ ორგანიზაციებში გაიგზავნა 100 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ხარკოვის, კრასნოდარის, ალმა-ატის და სხვა ქალაქების წარგზავნილები მოკლე ხანში დაეუფლნენ მშენებელთა სპეციალობას. მიღწეულ წარმატებებთან ერთად ამხ. შელეპინმა აღნიშნა ახალგაზრდა მშენებელთა შრომისა და დასვენების ორგანიზაციის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

ცოტა როდია კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც საქმიანად ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელებს მუშათა ყოფა-ცხოვრების მოწყობაში, გულისხმიერად ეკიდება ყოველი ადამიანის ბედს. სამწუხაროდ, აღნიშნავს ამხ. შელეპინი, არიან ისეთი კომკავშირული ორგანიზაციებიც, რომლებიც გულგრილობას იჩენენ, არ სწვდებიან ახალგაზრდობის შრომის ორგანიზაციის საკითხებს.

ა. ნ. შელეპინმა თათბირის მონაწილეთა სახელით პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებიც გმირულად მუშაობენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე, კვლავაც პირნათლად შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საარჩევნო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ი. ვ. ბეჭრძენის სიტყვა

პარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! წითელწყაროს რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საანგარიშო პერიოდში სიმინდის ნათესები რაიონში 2.400 ჰექტარიდან 7.019 ჰექტარამდე გაიზარდა. ფართოდ იყო გამოყენებული სათოხნი კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, წინა წლებზე მეტი დაითესა მარცვლეული თავთავიანი კულტურები ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვიდიდებინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მარცვლისა და მზესუმზირას საერთო მოსავალი. რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარეს 932.922 ფუთი პური. მზესუმზირას საერთო მოსავალი 8.900 ცენტნერით გაიზარდა. მატყლის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა 100,8 პროცენტით შესრულდა. გასულ წელს რძის საერთო წველადობა გაიზარდა 75,5 პროცენტით, ხოლო საშუალოდ ერთი ძროხისა — 486,3 კილოგრამით.

1956 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფოს ჩავაბარეთ რძე 23.220 ცენტნერით, კვერცხი — 335.000 ცალით, ხორცი — 11.730 ცენტნერით, აქედან ღორის ხორცი 370 ცენტნერით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში არიან კოლმეურნეობები (სოფელ ოზაანის მალენკოვის სახელობის, სოფელ მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები), რომელთა ეკონომიკაში უკანასკნელ წლებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

რაიონის სოფლის მეურნეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს მეცხოველეობას. მეცხოველეობის აღმავლობის მისაღწევად ჩვენ პირველ რიგში მივიღეთ ზომები საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეობებმა დაამზადეს 16.409 ტონით მეტი თივა, ვიდრე 1953 წელს, და ამით უზრუნველყვეს საკვებით პირუტყვის მთელი სულადობა; სილოსი დამზადებულია 20.220 ტონით, ხოლო წვნიანი საკვები 25.587 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

წელს სამგორწყალმშენის დახმარებით დამთავრდება ორი სარწყავი არხის მშენებლობა მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზე. ეს გადაწყვეტს სოფლების ზემო მაჩხაანისა და არბოშიკის კოლმეურნეობათა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის პრობლემას.

1955 წელს 100 ჰექტარ სახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე მთლიანად რაიონში მიღებულია 31 ცენტნერი რძე, საშუალოდ ერთ ძროხაზე — 1.020 კილოგრამი რძე — 18 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებულია 20,2 ცენტნერი ხორცი, ანუ 5,8 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1953 წელს, ხოლო კვერცხი 820 ცალით მეტი. მატყლის ნაპარსი 1953 წელთან შედარებით გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მეცხოველეობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

რაიონის კოლმეურნეობებში გასულ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის სულადობა შემცირდა 1953 წელთან შედარებით. ჯერ კიდევ არის პირუტყვის ბერწიანობა და დასაკლისი. ძროხისა და ფურკამეჩის სულადობის გეგმა შესრულებულია 90,6 პროცენტით, დედაღორისა — 97,5 პროცენტით, კვერცხმდებელი ქათმისა — 72 პროცენტით. ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ ამ ჩამორჩენის მიზეზებს და ახლო მომავალში მოვახდენთ მათს ლიკვიდაციას.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ხორცისა და რძის პროდუქტების დამზადების დიდ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ვხედებით საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს მუშაობაში, ტრესტმა „ყველ-ერბოკარაქმრეწვმა“ (ამხ. გოგიტიძე) დროულად და მთლიანად ვერ გაშალა რძის მიმღები პუნქტების ქსელი. მეცხოველეობის ისეთ მსხვილ რაიონში, როგორიც ჩვენი რაიონია, დღემდე არ არის არც ერთი გაუმჯობესებული კარაქსადღვები ქარხანა, მეტი წილი სეპარატორები შეუფერებელ შენობებშია.

წითელწყაროს რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას. ამ საბჭოთა მეურნეობის მუშაობის საკითხი 1954 წლის ოქტომბერში სპეციალურად განიხილეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ამ მეურნეობაში საქმის მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ვასრულებთ რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, ჩვენ უკანასკნელ ხანს ერთგვარ დადებით შედეგებს მივაღწიეთ. წარმატებთ სრულდება დავალებანი მარცვლეულის საერთო მოსავლისა და პირუტყვის სულადობის ზრდის დარგში. საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური გახდა, მოგებით დაამთავრა სამეურნეო წელი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობაში ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის არსებული შესაძლებლობანი, მის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლოვანებანი.

ემზადებიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რაიონის კოლმეურნეები, მტს-ისა და ელდარის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები თავიანთ ძალღონეს ახმარენ ჩვენთვის მთავარი ამოცანების შესრულებას — ტრაქტორებისა და მთელი სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის უსწრაფესად დამთავრებას, საშემოდგომო ნათესების მოვლასა და მღრღნელებთან ბრძოლას, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის დროულად მომზადებას, პირუტყვის გამოზამთრებისა და დოლის წარმატებით ჩატარებას.

ამხანაგებო! ნება მომეცით პირობა მივცე ყრილობას, რომ წითელწყაროს რაიონის პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეექვსე ხუთწლედში მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

ამხ. ა. ი. მიგრიაულის სიტყვა

გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული მეცხოველეობის სულადობის გადიდებისათვის, მისი ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. თუ 1953 სამეურნეო წელს პირუტყვის საერთო სულადობიდან ჯიშიანი მხოლოდ 26 პროცენტი იყო, დღეს ყველა მსხვილფეხა პირუტყვი ჯიშიანია, ძროხების უმრავლესობა კი ძაღლაპროდუქტიული. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ წველადობა ერთ საფურაქე ძროხაზე 1.220 კილოგრამით გაიზარდა. 1954-1955 სამეურნეო წლის პირველი ოქტომბრისათვის საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მივიღეთ 2.812 კილოგრამი რძე.

კოლმეურნეობამ იკისრა მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ოქტომბრამდე 200 სული ძროხიდან საშუალოდ ერთზე მიიღოს 3.000 კილოგრამი რძე. პირობას ვიძლევით, რომ ეს ვალდებულება გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით გასულ სამეურნეო წელს დავამზადეთ 760 ტონა უხეში საკვები, 540 ტონა საკვები ჭარხალი, ჩავდეთ 1.200 ტონა ხარისხოვანი სილოსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ტონისა, მივიღეთ 500 ტონამდე ქერი.

საქართველოს პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე. სამწუხაროდ, ამ საქმეში ნაკლებ ინიციატივას იჩენს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათანადო სამმართველო. ამ სამინისტროს სპეციალისტები პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის არ ცდილობენ გამოიყენონ და არც ცნობენ სხვა ჯიშებს, გარდა წითელი ველის ჯიშისა, რაც, ჩემი აზრით, სწორი არ არის.

ჩვენმა კოლმეურნეობამ ორი წლის წინათ მოსკოვის ოლქის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან შემოიყვანა ხოლმოგორის ჯიშის 23 სული ერთი და ორწლიანი დეკეული. ისინი კარგად შეეჩვივნენ აღგილობრივ პირობებს. 11 სულმა უკვე მოიგო ხბო და თვითეული დღეში საშუალოდ 19-23 კილოგრამ რძეს იძლევა. მეორე-მესამე ლაქტაციის პერიოდში თვითეული მოგვცემს სულ მცირე 25-30 კილოგრამ რძეს.

პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში კოლმეურნეობებს ოპერატიულად უნდა დაეხმარონ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ზოოვეტინსტიტუტი.

ამხანაგებო! ჩვენი კოლმეურნეობის წევრები აღფრთოვანებით გაიცნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს და იკისრეს გამოიყენონ ყველა ღონისძიება კოლმეურნეობაში მიწათმოქმედების და მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ვადამდე შეასრულონ მოსკოვის ოლქის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებანი.

ჩვენი კოლმეურნეობას ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს მებოსტნეობას. ამჟამად ჩვენთან ბოსტნეული კულტურების ფართობი 305 ჰექტარს აღწევს. კოლმეურნეობა ყოველწლიურად იღებს 3.000 ტონაზე მეტ ბოსტნეულს. ბოსტნეულით დედაქალაქის მშრომელთა მოთხოვნილების გაუმჯობესებისა და მებოსტნეობის გაფართოების მიზნით ჩვენ ვთხოვეთ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დახმარება — კოლმეურნეობის ხარჯზე დაგვედგა წყალსატუმბავი, რაც საშუალებას მოგვცემდა მოგვერწყო 150-200 ჰექტარი ბოსტნეული, მაგრამ სამინისტრო ჩვენს თხოვნას დღემდე არ გამოხმაურებია. ვფიქრობ, ახლა მაინც დაგვეხმარება იგი, რათა მიმდინარე წელს ავითვისოთ 150-200 ჰექტარი ახალი ფართობი ბოსტნეულისა და სიმინდის კულტურისათვის.

კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, მაგრამ ვფიქრობ, რომ წესდების ზოგიერთი მუხლი უკვე მოძველდა, საჭირო იქნება დაისვას მისი გადასინჯვის საკითხი, შეიცვალოს ზოგიერთი მუხლი. კერძოდ, მხედველობაში მაქვს მუხლი კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთის რაოდენობის შესახებ. ჩემი აზრით, არ შეიძლება ახლა ერთ საკოლმეურნეო ოჯახს ჰქონდეს 0,75 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი, მით უმეტეს იქ, სადაც ეს ნაკვეთი ირწყვება. მისი დამუშავება მთელი სეზონის პერიოდში მოითხოვს რვა მუშას. ასეთ შემთხვევაში კოლმეურნეს დროც არ დარჩება კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

ამხანაგებო! ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, მისი თვითეული წევრი ყველაფერს გააკეთებენ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო გეგმის ვადამდე და მაღალი ხარისხით შესრულებისათვის.

ამხ. დ. მ. მამულაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საბჭოთა აჭარის მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან და ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების განუხრელად განხორციელებისათვის დარაზმულმა აჭარის მრეწველობის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე — გასული წლის 15 სექტემბრისათვის შეასრულეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. მრეწველობის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების 1955 წლის დავალება, ამასთან ჩვენს ქვეყანას გეგმის ზევით მისცეს ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია. გადამეტებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დავალებანი, მიღებულია 15 მილიონამდე მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესის, შრომის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. მთელმა რიგმა საწარმოებმა ახალი დანადგარები და მოწყობილობა მიიღეს. გასულ წელს აჭარის მრეწველობამ ათვისა და გამოუშვა 100-ზე მეტი სახის ახალი ნაწარმი.

წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა საწარმოს კოლექტივს კარგად რომ ემუშავნა, პარტიის საოლქო კომიტეტსა და საქალაქო კომიტეტს უფრო კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა რომ გაეწიათ მრეწველობისათვის. მთელმა რიგმა საწარმოებმა, მათ შორის მანქანათმშენებლობის, ფანერის, თევზის ქარხნებმა ვერ შეასრულეს 1955 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა. ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში დაბალია წარმოების კულტურა. ჯერ კიდევ არის მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვების, მასალების უყაირათოდ ხარჯვის, აგრეთვე მასალებისა და პროდუქციის დატაცება-განიავების შემთხვევები (თამბაქოს ფაბრიკა, ფეხსაცმლის ფაბრიკა და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები ჯერ კიდევ არასაკმაოდ ამარაგებენ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს ნედლეულითა და მასალებით, სათანადოდ არ ეხმარებიან სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დარაზმულმა აჭარის მშრომელებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

1955 წელს აჭარის მშრომელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 20.929 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და გეგმა 105,6 პროცენტით შეასრულეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.350 კილოგრამი ფოთოლი.

სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ციტრუსოვანთა კულტურების განვითარებისათვის. მარტო 1954-1955 წლებში აღდგენილ იქნა ყინვისაგან დაღუპული და ახლად გაშენდა 1.200 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაციები. შარშან მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 234 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 62 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

გადაჭარბებით შესრულდა თამბაქოს, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხეხილის, ხურმის, აბრეშუმის პარკის დამზადებათა გეგმები, წარმატებით მიმდინარეობს ტუნგოს ნაყოფის დამზადება.

გასულ წელს 1.565 ჰექტარით გაიზარდა სიმინდის ნათესი ფართობი, გადიდდა მოსავლიანობა. თუ 1953 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 6 ცენტნერი სიმინდი, 1955 წელს მოსავალმა 12 ცენტნერს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, მოსავლიანობის ეს დონე ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, საჭიროა მისი უფრო მკვეთრად გადიდება.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა კოლმეურნეობებში პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, საგრძნობლად გაიზარდა ჯოგის საერთო სულადობაში დედაპირუტყვის რაოდენობა. მეცხოველეობის განვითარებისა და წველადობის გასული წლის გეგმები კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს, წარმატებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადების და შესყიდვის გეგმებიც.

მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შედეგად კოლმეურნეობები კიდევ უფრო განმტკიცდნენ მეურნეობრივად და ორგანიზაციულად, გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, გადიდდა შრომის ანაზღაურება. წინასწარი მონაცემებით, 1955 წელს კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 14 მილიონი მანეთით მეტი იყო, ვიდრე 1954 წელს.

სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული მიღწევები მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის დიდი რეზერვები, რაც აჭარაში არსებობს, ყველა კოლმეურნეობის მიერ მთლიანად არ არის გამოყენებული. ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა და აღრიცხვა, სუსტია შრომის დისციპლინა და მომთხოვნელობა, დაბალია პასუხისმგებლობის გრძნობა.

აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა სუსტად გატარების შედეგად ზოგიერთმა კოლმეურნეობამ, განსაკუთრებით შუახევისა და ქედის რაიონებში, სიმინდის, კარტოფილისა და თამბაქოს მცირე მოსავალი მიიღო. ამ რაიონების კოლმეურნეობებში დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობაც.

როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში, რასაც შემდგომ მუშაობაში გავითვალისწინებთ და გამოვასწორებთ.

ამჟამად კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გადაბარვა, მინერალური სასუქების შეტანა, თამბაქოს სანერგეების მომზადება, თესლის გაწმენდა-შემოწმება, მანქანა-იარაღების შეკეთება და სხვა სამუშაოები.

ამთავითვე ყველა ზომას ვიღებთ, რათა საგაზაფხულო და სხვა სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებით უზრუნველვყოთ მოსავლიანობის კიდევ უფრო გადიდება.

ამხანაგებო! აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა, შემდგომ განამტკიცეს კავშირი მასებთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ყველა პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ მუშაობს მასების კომუნისტური აღზრდისა და ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად მათი დარაზმვისათვის. პროპაგანდისტული მუშაობა ზოგ შემთხვევაში მოწყვეტილია პრაქტიკულ საქმიანობას, მშრომელთა ერთი ნაწილის შეგნებაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის კაპიტალიზმის გადმონაშთები, არის შრომისადმი ცალკეული მოქალაქეების არაკომუნისტური დამოკიდებულების, საზოგადოებრივი საკუთრების გაფლანგვა-განიავების, ხულიგნობის ფაქტები. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი, უფრო ბრძოლისუნარიანი გავხადოთ ისინი, კიდევ უფრო სრულყოთ პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები, მთელი საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მტკიცედ დავუკავშიროთ პრაქტიკულ საქმიანობას, გავაძლიეროთ მასების კომუნისტური აღზრდა და დავრაზმოთ ისინი ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარებით აჭარის მშრომელებმა სერიოზული მიღწევები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამავე დროს უნდა ვუსაყვედუროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს, რომლებიც იშვიათად ჩამოდიან აჭარაში, ნაკლებად ეცნობიან ჩვენს საქმიანობას და ვერ გვიწევენ საჭირო დახმარებას. არასაკმაოა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა და დახმარება. სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები კარგად არ იცნობენ აჭარის, განსაკუთრებით მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის თავისებურებებს, ამიტომ ხშირად არასწორად გეგმავენ სოფლის მეურნეობას და არასწორ მითითებებს იძლევიან. ეს ნაკლოვანებები შემდგომში აღარ უნდა გამეორდეს.

მეტ ყურადღებასა და დახმარებას მოვითხოვთ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებისაგან.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს. მას კანონიერი სიამაყის გრძნობით ეცნობა ყველა საბჭოთა ადამიანი. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით შეასრულებს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მტკიცედ დაიარაზმება და შემჭიდროვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით სასახელოდ შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ამხ. ა. მ. ლაბახუას სიტყვა

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგებო! საბჭოთა აფხაზეთის მშრომელები საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობას შეხვდნენ მნიშვნელოვანი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რესუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის გაფართოებას. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მთლიანად მრეწველობამ 1955 წელს 102,1 პროცენტით შეასრულა. საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 104,3 პროცენტით.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საკავშირო დაქვემდებარების ზოგიერთი საწარმო არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა.

აფხაზეთის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებმა ხუთწლიანი გეგმა თუმცა ვადაზე ადრე, 4 წელიწადსა და 10 თვეში შეასრულეს, მაგრამ 1955 წლის გეგმის შესრულებაში ისინი ჩამორჩნენ: სახელმწიფოს დააკლეს მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი.

უკანასკნელ ხანს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა გაუუმჯობესა მუშაობა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ აენაზღაურებინა დანაკლისი, შეესრულებინა წლიური გეგმა.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ჩამორჩენაში, როგორც ეს აფხაზეთის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, ტყვარჩელის ტრესტსა და პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტს გარდა ბრალი მიუძღვით პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილებას. ისინი ღრმად არ სწვდებოდნენ შახტებისა და უბნების ჩამორჩენის მიზეზებს, არ სწავლობდნენ ქვანახშირის წარმოების ეკონომიკას, არ იჩენდნენ სიმტკიცესა და ოპერატიულობას ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში, ჯეროვან დახმარებას არ უწევდნენ ტრესტის ხელმძღვანელობას და პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტს.

გასულ წელს ცუდად როდი გაართვეს თავი თავიანთ ამოცანებს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. უკეთ იწყო მუშაობა აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციამაც, რომელმაც საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 121,3 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 12 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მაგრამ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს არსებითი ნაკლოვანებანი. მაგალითად, ზოგიერთი სახეობის ნაწარმი თავისი ხარისხით ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, მთელ რიგ საქონელს მოძველებული მოდელებისა და ფასონებისას უშვებენ. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საშენი მასალების — აგურის, კრამიტისა და სხვ. წარმოების მხრივ. საშენ მასალათა წარმოებაში სჭარბობს ხელით შრომა, ცუდად იყენებენ ტექნიკას.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავიანთ ძალღონეს ახმარდნენ სექტემბრისა და მომდევნო

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სიტყვები იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ა. მ. ლაბახუას სიტყვის დასასრული

პლენუმების დადგენილებათა წარმატებით განხორციელებას. ამის მეოხებით მიღწეულია წარმატებანი საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების გზაზე. 1954 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი გადიდდა. 218 კოლმეურნეობიდან მილიონიანი შემოსავალი მიიღო 102 არტელმა, მათ შორის 3 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი — 20 არტელმა.

წლითიწლობით იზრდება შრომადღის ღირებულება. თუ 1940 წელს ერთ შრომადღეზე განაწილდა საშუალოდ 2 მანეთი და 77 კაპიკი ფულად, 1954 წელს განაწილდა 11 მანეთი და 73 კაპიკი.

წინასწარი გამოანგარიშებით კოლმეურნეობათა შემოსავალი 1955 წელს კიდევ უფრო გაიზარდა.

კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ენერგიული შრომის შედეგად რესპუბლიკამ გასულ წელს შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 400 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1954 წელს.

გასულ წელს რესპუბლიკაში გაიზარდა სიმინდის საერთო მოსავალი. ჰექტარზე მან საშუალოდ 14 ცენტნერი შეადგინა. არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც ჰექტარზე 30-40 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მანდარინის, ყურძნის, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის, აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა.

ცუდი მდგომარეობაა თამბაქოს დამზადების გეგმის შესრულების მხრივ. 1956 წლის 10 იანვრისათვის გეგმა შესრულებულია სულ 86,6 პროცენტით. სახელმწიფოს დააკლდა დაახლოებით 1.000 ტონა თამბაქოს ნედლეული.

1955 წელს მიღწეულია პირველი წარმატებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 611 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 კილოგრამისა — 387 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

სერიოზული მუშაობაა გაწეული მეცხოველეობის სადგომებისა და სასილოსე ნაგებობების მშენებლობის დარგში. გასულ წელს აშენდა ოთხჯერ მეტი სასილოსე კოშკები, ვიდრე ყველა წარსულ წელიწადში. ამან საშუალება მოგვცა ჩაგვედო 31.513 ტონა სილოსი.

მიუხედავად ყველა ამ ღონისძიებისა, ჩვენ მაინც ვერ შევასრულეთ ხორცისა და რძის დამზადების გეგმები.

ჩამორჩენილი კოლმეურნეობების განსამტკიცებლად პარტიის საოლქო კომიტეტმა არტელების თავმჯდომარეებად სამუშაოდ გაგზავნა 107 კაცი. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ზოგიერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა განმტკიცდა ორგანიზაციულ-სამეურნეო მხრივ, ჩადგა მოწინავეთა რიგებში.

მაგრამ პარტიის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ ოპერატიულად და კონკრეტულად, საქმის სათანადო ცოდნით ვერ ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას. ამის შედეგად მთელ რიგ კოლმეურნეობებში მცირეა თამბაქოს და სიმინდის მოსავალი. სოფლის მეურნეობაში სრულად არ იყენებენ ტექნიკას, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების დამუშავების დროს.

ამას წინათ პარტიის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მოაწყეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა გასული სამეურნეო წლის შედეგები და 1956 წლის ამოცანები. თათბირზე გამოვლენებულ იქნა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, მწვავედ იქნენ გაკრიტიკებული ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ნაკლოვანებებში, დაისახა მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა იკისრეს ღირსეული წვლილი შეიტანონ იმ დიდი ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც დასახულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტით.

აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უკანასკნელ წლებში სერიოზული მუშაობა გასწიეს იმ შეცდომებისა და დამახინჯებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც წარსულში იყო დაშვებული.

მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის 90 სკოლაში ბავშვები სწავლობენ მშობლიურ აფხაზურ ენაზე. სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან შექმნილია აფხაზური და რუსული ენებისა და ლიტერატურის სექტორი, სადაც მზადდება მასწავლებელთა კადრები აფხაზური სკოლებისათვის. ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი. რესპუბლიკაში აფხაზურ ენაზე გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ალაშარა“.

წარმატებით ვითარდება აფხაზური საბჭოთა ლიტერატურა. შემოქმედებითად გაიზარდნენ პოეტები ლასურია, ლომია, აკობია და სხვები, რომლებსაც დიდ დახმარებას უწევს აფხაზეთის საბალხო პოეტი დ. გულია. ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მუშაკებმა.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია, ახორციელებს რა პარტიის ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, კვლავაც დაუცხრომლად აღზრდის რესპუბლიკის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელებულია წარსულში დაშვებული შეცდომების ლიკვიდაციისათვის, არ შეიძლება არ შევეხო პ. ინგოროყვას წიგნს „ვეფხვი მერჩული“, რომელიც გამოვიდა. ამ წიგნის ცალკეული დებულებანი ძველი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე აშკარად მცდარია. საჭიროა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებმა და პირველ რიგში ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყოს ამ შრომის განხილვა.

ვამთავრებ რა ჩემს გამოსვლას, მინდა პირობა მივცე საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობას, რომ აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ რესპუბლიკამ შასრულოს ამოცანები, რომლებიც მას კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს.

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის.

კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის შედეგია. 1955 წელს საქართველოს კვების მრეწველობამ 2,5-ჯერ გადააჭარბა წარმოების 1940 წლის დონეს.

სამინისტროს ყურადღების ცენტრშია ახალი საწარმოების მშენებლობა და არსებულთა გაფართოება. კაპიტალური მშენებლობის გეგმა 1955 წელს შესრულდა 100,7 პროცენტით. მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკის კვების საწარმოთა კაპიტალურ შენებლობაში დაბანდებული იყო 638 მილიონი მანეთი. ამ პერიოდში აგებულ იქნა 18 ახალი და რეკონსტრუირებულია 15 ღვინის ქარხანა; აგებულია 62 მილიონი ბოთლის სიმძლავრის მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხნები; ამუშავებულია სხვა საწარმოებიც. შენდება და 1956-1957 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ღვინის ახალი ქარხნები, ჩაის ფაბრიკები, პურის ქარხნები, საკონდიტრო ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სამინისტრომ და ტრესტებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრეს ნაკლოვანებანი საწარმოთა მუშაობაში. ყველა მათგანი როდი ასრულებს ასორტიმენტის გეგმას, ხოლო 19 საწარმომ 1955 წელს ვერ შეასრულა წარმოების წლიური გეგმა. აფხაზეთის ჩაის 10 ფაბრიკიდან, რომლებიც ჩაის ყველა სხვა ფაბრიკის დაახლოებით თანაბარ პირობებში იმყოფებიან, ხუთმა ფაბრიკამ გეგმა ვერ შეასრულა; ზოგიერთმა საწარმომ თვითღირებულების შემცირების ნაცვლად პროდუქცია გააძვირა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ჩაის მეურნეობის განვითარების საკითხებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღემდე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკებს უფრო აინტერესებდათ საკითხის რაოდენობრივი მხარე, ვიდრე ხარისხი. მეექვსე ხუთწლედში წარმოების ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩაის მეურნეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებას. სანიმუშო წესრიგზე უნდა მოვიყვანოთ უკლებლივ ყველა პლანტაცია, ავამაღლოთ მათი მოსავლიანობა, გავითვალისწინოთ მხოლოდ საუკეთესო ნაირსახეობის ანუ საუკეთესო ჯიშის ჩაის მცენარის დარგვა.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენ დაგვჭირდება ყველა ღონისძიების მიღება იმისათვის, რომ გადავიდეთ ჩაის ფოთლის მანქანით კრეფაზე. სამინისტრო ფართო მასშტაბით ახდენს საწარმოო ცდებს მანქანით მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად ლაითურის ჩაის ფაბრიკაში.

სამინისტროს გათვალისწინებული აქვს მეექვსე ხუთწლედში განახორციელოს ჩაის წარმოების ორგანიზაციის ახალი სქემა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირება. განზრახულია აგრეთვე მოეწყოს რაიონული და სარაიონთაშორისო დამხარისხებელი ფაბრიკები. ამ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს დიდი კაპიტალების დაუბანდებლად მივაღწიოთ პირველადი გადამუშავების ფაბრიკების სიმძლავრეთა მატებას და წარმოების გადიდებას, აგრეთვე ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოში შესანიშნავი პირობებია მევენახეობის ფართოდ განვითარებისათვის. ამიტომ საჭიროა ვენახების ფართობის გადიდების ტემპების ამაღლება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობის განვითარებას ჩვენი ისეთი მთის მდინარეების ხეობებში, როგორიც არის აჭარისწყალი, ლაჯანური, ცხენისწყალი, რიონი, ძამა, ლეხურა და სხვები. ისეთი დიდშემოსავლიანი დარგის განვითარება, როგორიც არის მევენახეობა, ხელს შეუწყობს მთიანი რაიონების და არა მარტო ამ რაიონების კოლმეურნეობათა აღმავლობას.

ნედლეულის ბაზის განვითარებასთან ერთად სერიოზული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ მეღვინეობის ტექნიკური აღჭურვილობის გასაძლიერებლად. უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩვენ არ გვყოფნის სასაწყობო სათავსები ღვინის შესანახავად და მოწყობილობა თანამედროვე დონეზე ტექნოლოგიური პროცესების ჩასატარებლად. მეექვსე ხუთწლედში უნდა მოვსპოთ დისპროპორცია სანედლეულო შესაძლებლობებსა და ტექნიკურ ბაზას შორის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ღვინის მრეწველობამ მნიშვნელოვნად გაადიდა სამარკო მშრალი ღვინოების და ნატურალური ნახევრადტკბილი ღვინოების წარმოება, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია საქართველოში ყურძნის ღვინის გამოშვების გადიდება 1,8-ჯერ. ეს ძნელი ამოცანაა, მაგრამ ჩვენ შეგვძლებთ მის შესრულებას, თუ წარმატებით გადავჭრით ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხს. იმ ასიგნობათა ძირითადი ნაწილი, რომლებიც სამინისტროს ეძლევა მეექვსე ხუთწლედში, გამოყენებულ იქნება მეღვინეობის გასაფართოებლად, მაგრამ გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ეს თანხა არ გვეყოფა და დაგვჭირდება დამატებითი დახმარება.

სამინისტრო მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ყოველდღიურად განხორციელებით, ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებით, ორგანიზატორული საქმიანობის ამაღლებით საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო მიაღწევს ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას და თავისი საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამხ. ვ. დ. ჩალაძის სიტყვა

საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედო რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მთელ საქმიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ბევრი ძვირფასი ღონისძიება განხორციელდა. ამის შედეგად ქარხანამ საერთო პროდუქციის 1955 წლის გეგმა შეასრულა 105 პროცენტით და სასაქონლო პროდუქციისა — 99,9 პროცენტით. დეკემბრის გეგმა ადგზე ადრე შეასრულა ქარხნის ყველა საამქრომ, გარდა წვრილსორტულისა. მონაწილეობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ქარხნის კოლექტივმა იანვრის 15 დღეში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვა თუჯი, ფოლადი, წვრილსორტული ნაგლინი და სხვ.

რუსთავის კომუნისტებო, ყველა მშრომელნო, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით აღფრთოვანებულნი, ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს იღებენ.

ქალაქ რუსთავის, მისი სამრეწველო საწარმოების ზრდასთან ერთად იზრდება საქალაქო პარტიული ორგანიზაციაც.

საანგარიშო პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციები განმტკიცდნენ და სისტემატურად აუმჯობესებენ პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგრამ, როგორც ეს საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე და საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე აღინიშნა და როგორც სავსებით სამართლიანად იყო ნათქვამი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ჩვენს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც.

ქალაქის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია და პარტიის საქალაქო კომიტეტი საკმაოდ ვერ ერკვევა წარმოების დეტალებში, არ უზრუნველყოფს საჭირო პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, სუსტად რაზმავს მშრომელებს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის საბრძოლველად, არ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი.

მეტალურგიული ქარხნისა და სხვა საწარმოების ბევრ საამქროში სუსტად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, რაც იწვევს შრომის დისციპლინის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის ხშირ დარღვევას.

ამას წინათ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „პრავდამ“ თავის მოწინავე სტატიაში მკვეთრად და სამართლიანად გააკრიტიკა ჩვენი მეტალურგიული ქარხნის მუშაობა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ქარხნის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა განიხილეს ეს კრიტიკული შენიშვნები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, ქარხნის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სუსტად არის დაყენებული მუშაობა აგრეთვე სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოების მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ეს იმას იწვევს, რომ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი ხშირად არღვევს სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების დარღვევის მიზეზი ისიც არის, რომ მეტალურგიული, აზოტ-ტუკის ქარხნების დირექციები დროზე და კომპლექტურად ვერ უზრუნველყოფენ მშენებლობას საჭირო ტექნოლოგიური და ელექტროტექნიკური მოწყობილობით, აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციით.

პარტიის საქალაქო კომიტეტი მთელი სერიოზულობით არ აყენებდა ამ საკითხებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ამ საკითხების გადაწყვეტაში ჩვენ აგრეთვე ვერ ვგრძნობდით სათანადო დახმარებას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი სამრეწველო განყოფილების მხრივ.

თუმცა ჩვენს მეტალურგიულ ქარხანაში ცოტა ღონისძიება როდი განხორციელდა ახალი ტექნიკის დასანერგავად, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო უფრო მეტი მუშაობა გაგვეწია ამ დარგში, სამინისტროები უფრო კარგად რომ გვეხმარებოდნენ. მაგალითად, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო ჩვენს ქარხანას საჭირო დახმარებას არ უწევს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიც არის ქრომმაგნეზიტურ ცეცხლგამძლეთა გამოყენება სამარტენო წარმოებაში. საქართველოს კომპარტიის ყრილობის ტრიბუნიდან ჩვენ ერთხელ კიდევ მივმართავთ სამინისტროს თხოვნით უზრუნველყოს ქარხანა ქრომმაგნეზიტის საჭირო რაოდენობით, რათა 1956 წელს ყველა ღუმელი გადაყვანილ იქნას ქრომმაგნეზიტურ თაღებზე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ფოლადის გამოდნობა გავადიდოთ რამდენიმე ათეული ათასი ტონით. სამინისტროებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ რუსთავს აგრეთვე საბინაო მშენებლობის გაჩაღებაში და საქალაქო მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ჩვენ ჩვენი მრეწველობის ახალი აღმავლობის მიჯნაზე ვართ. ეჭვი არ არის, რომ ამ ყრილობაზე მხილებული ნაკლოვანებანი სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში, მათ შორის ჩვენი მეტალურგიული ქარხნის მუშაობაში, აღმოფხვრილი იქნება, და ეს უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კიდევ უფრო მძლავრ განვითარებას.

ამხ. მ. ყ. ყულიევის სიტყვა

საქართველოს კპ დმანისის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! დმანისის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აქტიურად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მეცხოველეობისა და მარცვლეული მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

რაიონის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებში იმატა ძროხის სულადობამ, შემცირდა პირუტყვის სიკვდილიანობა. მეცხოველეებმა გაუმჯობესეს პირუტყვის მოვლა-შენახვა და კვება. აგებულია ახალი ტიპური ბინები 1.000 სული პირუტყვისათვის. გასულ წელს რაიონში აშენდა 10.000 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. რაიონის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვნად გადიდეს წველადობა. თუ წინა წლებში რაიონში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე ილებდნენ 800-900 კილოგრამ რძეს, 1955 წელს მიღებულია 1.132 კილოგრამი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 1.000 კილოგრამი.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად იზრდება კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალიც. 1952 წელს ფულადმა შემოსავალმა, რაც კოლმეურნეობებს მეცხოველეობამ მისცა, შეადგინა 3.800 ათასი მანეთი. 1953 წელს ეს შემოსავალი გაიზარდა 5.630 ათას მანეთამდე, 1954 წელს — 7.890 ათას მანეთამდე, ხოლო 1955 წელს მეცხოველეობამ კოლმეურნეობებს მისცა 10.500 ათასი მანეთი.

წინა წლებში რაიონის 27 კოლმეურნეობიდან ჩამორჩებოდა 14. გასული წლის შედეგების მიხედვით ჩამორჩენილად ჩაითვლება 4 კოლმეურნეობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს წველადობის გეგმა, ცოტას ანაწილებენ პროდუქტებს შრომადღეებზე. პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი ყველა ღონისძიებას მიმართავენ იმისათვის, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს უხეში საკვების დაგროვების გეგმა. ამის მიზეზი იყო გვალვა, რის გამო ძალიან ცუდი ბალახი იყო ბუნებრივ სათიბებზე. ნაცვლად 17 ცენტნერი თივისა საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნა 8 ცენტნერი.

იმის გამო, რომ თივა და ჩალა საკმაო რაოდენობით ვერ დავამზადეთ, რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სილოსის ჩადებას. თუ 1953 წელს კოლმეურნეობებში ჩადებული იყო 7.000 ტონა სილოსი, 1955 წელს ჩადებულ იქნა 21.300 ტონა, ანუ საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 5 ტონა.

მინდა აღვნიშნო, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო არასწორად ანაწილებს კონცენტრირებულ საკვებს რაიონებს შორის. 1955 წელს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა სულ მიიღეს 320 ტონა კონცენტრირებული საკვები, მაშინ როცა მარტო სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშში ჩაბარეს 1.000 ტონა რძე და 500 ტონა ხორცი. კონცენტრირებული საკვების განაწილება აუცილებლად უნდა ხდებოდეს სახელმწიფო შესყიდვის წესით რძისა და ხორცის ფაქტიურად ჩაბარების შესაბამისად.

საქართველოს კპ XVI ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რაიონის ბუნებრივ სათიბებს მოდებული აქვს სარეველა—გვირილა. მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ მხრივ დღემდე არავითარი დახმარება არ გაუწევია რაიონისათვის.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა საანგარიშო პერიოდში დროზე და გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით, მარცვლეულისა — 102 პროცენტით, კარტოფილისა — 112, მატყლისა — 109 პროცენტით. შესრულებულია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და საქონელბრუნვის გეგმა.

იმის მეოხებით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შემდეგ სიმინდის ნათესები რაიონში ერთიორად გაიზარდა, ჩვენ შევძელით დმანისის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში თვითეულ შრომადღეზე გაგვენაწილებინა 2,5 კილოგრამი მარცვლეული.

რძის ჩაბარების გეგმა ვერ შეასრულა ბაშკიჩეთის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ნაკლებად ეხმარება საბჭოთა მეურნეობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთადერთი საჯიშე მეურნეობაა საქართველოში და მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში.

საანგარიშო პერიოდში პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის რაიკომმა განახორციელეს ღონისძიებანი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა დმანისის მტს-ის და მოძმე სომხეთის ლორის მტს-ის კოლექტივების სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რაიონში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებაში კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები იღებენ ზომებს იმისათვის, რომ აამაღლონ მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის დონე, მიაღწიონ ახალ წარმატებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება ჩინეთ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

ბეკინი, 19 იანვარი. (საკუთრ.). სინხუას საგენტომ გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის 18 იანვრის განცხადება ჩინეთ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება ელჩთა მონაწილეობით გრძელდება ოთხ თვეზე მეტია და დღემდე არავითარი შეთანხმება არ არის მიღწეული. დღის წესრიგის მეორე პუნქტზე, თუმცა 1955 წლის 10 სექტემბერს მიღწეულ იქნა შეთანხმება ორივე მხარის მოქალაქეთა დაბრუნების საკითხზე. ორივე მხარე ჯერ კიდევ არ შესდგომია იმ ორი საკითხის არსის განხილვას, რომლებიც ჩინეთის მხარემ აღძრა, ე. ი. ჯერ არ განუხილავთ არსებითად ემბარგოს გაუქმების საკითხი და ჩინეთისა და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ამ თანამბრძოლთა მზადების საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და აღმოფხვრის პრობლემები.

ამერიკის მხარემ აღძრა ეგრეთწოდებული ძალის გამოყენებაზე უარის თქმის საკითხი, მაგრამ არ მოისურვა ამ საკითხზე დაედო შეთანხმება, რომელიც მისაღები იქნებოდა ორივე მხარისათვის. უფრო მეტიც, შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ დროს გააძლიერეს სამხედრო აქტივობა ტაივანის რაიონში, დაძაბულობის გაძლიერების მიზნით, ხოლო შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი კვლავ მოუწოდებს, რომ ჩინეთის წინააღმდეგ დაიწყოს ატომური ომი. ამ ვითარებაში ჩინეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გამოაქვეყნოს, თუ როგორ მიმდინარეობს ამბები ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებში, რათა ნათლად ჩამოაყალიბოს ჩინეთის მხარის პოზიცია.

1). როგორც კი ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება ორივე მხარის მოქალაქეთა დაბრუნების შესახებ, ჩვენმა მხარემ მოითხოვა დღის წესრიგის მეორე პუნქტად განეხილათ ორი საკითხი — ემბარგოს საკითხი და უფრო მაღალ დონეზე ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებისათვის მზადების საკითხი, მაგრამ ამერიკის მხარემ უარი თქვა დაეწყო არსებითად ამ ორი საკითხის რაიმე განხილვა. მხოლოდ 1955 წლის 8 ოქტომბერს ამერიკის მხარემ მოითხოვა, რომ როგორც ჩინეთმა, ისე შეერთებულმა შტატებმა უწინარეს ყოვლისა განაცხადონ უარი ძალის გამოყენებაზე.

თუ ეგრეთწოდებული უარი ძალის გამოყენებაზე იმას ნიშნავს, რომ ჩინეთმა და შეერთებულმა შტატებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად, მშვიდობიანად უნდა გადაჭრან დავა ორივე ქვეყანას შორის ისე, რომ ძალას არ მიმართონ, ეს არის სწორედ ის, რის დაცვასაც ჩინეთი მუდამ მოითხოვდა. საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის სწორედ ამ პრინციპის რეალიზაციის მიზნით ჩინეთმა ხომ წინადადება შეიტანა ბანდუნგში, რომ ჩინეთი და შეერთებული შტატები ერთმანეთს შეზვედროდნენ და დაიწყოთ მოლაპარაკება. ამავე მიზნისათვის ჩინეთმა ელჩების მონაწილეობით ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების დროს მოითხოვა მოწყობილიყო ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება უფრო მაღალ დონეზე. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობაში ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს შორის ძალის გამოყენებაზე უარისთქმის საკითხი არავითარი გზით არ უნდა შეეხოს ჩინეთის ან შეერთებული შტატების სამშინაო საქმეებს. იმდენად, რამდენადაც ეს ეხება ტაივანის საკითხს, ჩინეთის ტერიტორიის — ტაივანის ოკუპაცია შეერთებული შტატების მიერ წარმოადგენს საერთაშორისო დავას ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს შორის, მაშინ როცა ჩინელი ხალხის მიერ თავისი საკუთარი ტერიტორიის — ტაივანის — განთავისუფლება ჩინეთის სუვერენული უფლება და საშინაო საქმეა. ჩინეთის მთავრობას არა ერთგზის განუცხადებია, რომ იგი ყოველ ღონისძიებას იხმარს გაათავისუფლოს ტაივანი მშვიდობიანი გზით, რამდენადაც ეს შესაძლებელია. მაგრამ ჩინეთის ეს საშინაო საქმე, ცხადია, არ შეიძლება იყოს ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების საგანი.

2). ნათლად ჩამოაყალიბა რა მოლაპარაკების დროს ზემოაღნიშნული პოზიცია, ჩინეთის მხარემ 1955 წლის 27 ოქტომბერს შეიტანა ჩინეთისა და შეერთებული შტატების ელჩების შეთანხმებული განცხადების პროექტი ძალის გამოყენებაზე უარისთქმის საკითხზე, რომელიც ამერიკის მხარემ აღძრა. განცხადების პროექტის ტექსტში ნათქვამია:

„ელჩი ვან ბინ-ნანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით და ელჩი ალექსის ჯონსონი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით ერთობლივად აცხადებენ:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, რომელშიც ნათქვამია: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავიანთ საერთაშორისო დავას გადაწყვეტს მშვიდობიანი საშუალებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და სამართლიანობას“;

და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად, რომელშიც ნათქვამია: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობაში თავს იკავებს ძალით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული ხელუხლებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე რაიმე სხვა მოქმედებისაგან, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებს“;

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ დავა თავიანთ ორ მხარეს შორის უნდა გადაჭრან მშვიდობიანი მეთოდებით ისე, რომ არ მიმართონ ძალით დამუქრებას ან მის გამოყენებას;

ამ მიზნით, რომ განახორციელონ თავიანთი საერთო სურვილი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს გამართონ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრან ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და აღმოფხვრის საკითხი“.

თუ ორივე მხარე გულწრფელია, მაშინ არ იქნება არავითარი სიძნელე განცხადების ამ პროექტის საფუძველზე შეთანხმების მიღწევის საქმეში, რომელიც ჩინეთის მხარემ წარმოადგინა. შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. შეერთებულ შტატებს არავითარი მოსაზრება არ უნდა ჰქონდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ნათელა დებულებათა წინააღმდეგ. შეერთებულმა შტატებმა მომართეს ძალის გამოყენებასა და ძალით დამუქრებას ჩინეთის წინააღმდეგ ტაივანის რაიონში და, ამიგად, იქ შექმნეს დაძაბულობა. იმისათვის, რომ ძალის გამოყენებაზე უარისთქმის პრინციპი, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, განხორციელდეს ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში, სავსებით ცხადია, რომ ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და აღმოფხვრის საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ჩინეთისა და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დახმარებით.

3). მაგრამ მოლაპარაკების მსვლელობაში ამერიკის მხარემ არ მოისურვა, რომ ამ განცხადებაში სპეციალურად ყოფილიყო ნახსენები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რაიმე კონკრეტული დებულებანი ან, რომ ეს განცხადება პირდაპირ ითვალისწინებდეს ჩინეთისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწყობას. მხოლოდ 1955 წლის 10 ნოემბერს, ე. ი. როცა მთელი ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ორივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას დღის წესრიგის პირველ პუნქტზე, ამერიკის მხარემ პირველად კონკრეტული ფორმით შემოიტანა თავისი საკუთარი განცხადების პროექტი, რომელიც ეხება ძალის გამოყენებაზე უარის თქმას. განცხადების ამ პროექტის ძირითად ნაწილში, რომელიც ამერიკის მხარემ შემოიტანა, ნათქვამია შემდეგი:

„ელჩმა ალექსის ჯონსონმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ელჩს ვან ბინ-ნანს აცნობა, რომ:

საერთოდ და კონკრეტულად ტაივანის რაიონის გამო ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობენ გამოიყენონ ძალა, გარდა ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვისა.

ელჩმა ვან ბინ-ნანმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით ელჩს ალექსის ჯონსონს აცნობა, რომ:

საერთოდ და კონკრეტულად ტაივანის რაიონის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უარს ამბობს გამოიყენოს ძალა, გარდა ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვისა“.

როგორც ჩინეთის მხარე აღნიშნავდა მოლაპარაკების დროს, განცხადების პროექტი, რომელიც ამერიკის მხარემ შემოიტანა, არსებითად არის ცდა, რომ ერთმანეთში არიონ საერთაშორისო დავა ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ტაივანის რაიონში და შინაგანი საკითხი ჩინეთის მთავრობასა და ჩანკაიშელთა ხროვას შორის და ის მოთხოვნა, რომ ჩინეთი დათანხმდეს სტატუს ქვოზე შეერთებული შტატების მიერ ჩინეთის ტერიტორიის ტაივანის ოკუპაციის მიმართ და უარი თქვას თავის სუვერენულ უფლებაზე — გაათავისუფლოს ტაივანი. ეს სრულიად მიუღებელია ჩინეთისათვის. ტაივანი ჩინეთის ტერიტორიაა; და, რამდენადაც ეს შეეხება შეერთებულ შტატებს, არ შეიძლება დაისვას თავდაცვის საკითხი. შეერთებულმა შტატებმა უკვე გამოიყენეს ძალა და ძალით დამუქრება ჩინეთის წინააღმდეგ ტაივანის რაიონში. ამიტომ, თუ ვილაპარაკებთ თავდაცვაზე, სწორედ ჩინეთმა უნდა განახორციელოს თავდაცვის უფლება, რათა განდევნოს ისინი ძალა და აღმოფხვრას მუქარა. მაგრამ შეერთებული შტატები აცხადებდნენ პრეტენზიას ტაივანის რაიონში თავდაცვის უფლებაზე. განა ეს იგივე არ არის, რაც მოთხოვნა, რომ ჩინეთი დათანხმდეს შეერთებული შტატების მიერ ტაივანის ოკუპაციის განგრძობასა და იმაზე, რომ დაძაბულობა ტაივანის რაიონში სამუდამოდ დარჩეს?

4). მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ მოლაპარაკება თანმიმდევრობით განგრძობილიყო, ჩინეთის მხარემ მიმართა ახალ ცდას და 1955 წლის 1 დეკემბერს შეიტანა შემდეგი ახალი პროექტი:

„ელჩი ვან ბინ-ნანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით და ელჩი ალექსის ჯონსონი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით თანახმა არიან გამოაცხადონ შემდეგი:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს, რომ მათ უნდა მოაწესრიგონ დავა ურთიერთშორის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, არ მიმართონ მუქარას ან ძალის გამოყენებას;

ორმა ელჩმა უნდა განაგრძოს მოლაპარაკება, რათა გამოინახოს ამ საერთო სურვილის განხორციელების პრაქტიკულად შესაძლო საშუალებანი“.

ჩინეთის მხარეს მიაჩნია, რომ ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს შორის დავის, განსაკუთრებით ისეთი სერიოზული საკითხის მოწესრიგებისათვის, როგორიც არის დაძაბულობა ტაივანის რაიონში, ერთადერთი პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებაა ჩინეთისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწყობის კონკრეტულ საკითხს, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც შეერთებულმა შტატებმა უკვე გამოიყენეს ძალა და ძალით დამუქრება ჩინეთის წინააღმდეგ ტაივანის რაიონში, შეუძლებელი იქნება ზემოხსენებულ განცხადებაში გამოთქმული სურვილის შესრულება, თუ ჩინეთისა და ამერიკის ელჩების მოლაპარაკების დროს არ იქნა მიღწეული შეთანხმება ჩინეთისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ.

ამრიგად, გასაგებია, რომ, თუ შეერთებული შტატების მთავრობას გულწრფელად სურს უარი თქვას ძალისა და ძალით დამუქრების გამოყენებაზე, მას არა აქვს არავითარი საფუძველი განაგრძოს მოლაპარაკების გაჭიანურება იმის ნაცვლად, რომ დადოს შეთანხმება ჩვენი ახალი პროექტის შესახებ.

5). მაგრამ სამ შემდგომ თათბირზე, რომლებიც გაიმართა მას შემდეგ, რაც ჩვენ შევიტანეთ ეს ახალი პროექტი, ამერიკის მხარე უარს ამბობდა გაეკეთებინა რაიმე კონკრეტული კომენტარი, არაფერს ამბობდა არც პროექტის სასარგებლოდ, არც მის წინააღმდეგ. მხოლოდ 1956 წლის 12 იანვარს ამერიკის მხარემ შემოიტანა კონტრწინადადება. მისი სრული ტექსტი ამბობს:

„ელჩი ალექსის ჯონსონი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით და ელჩი ვან ბინ-ნანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით თანახმა არიან განიხილონ შემდეგი:

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გადაწყვიტეს, რომ ისინი მოაწესრიგებენ ურთიერთ დავას მშვიდობიანი საშუალებებით და რომ, თუ არ შეალახება ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის შეუვალი უფლება, ისინი არ მიმართავენ მუქარას ან ძალის გამოყენებას ტაივანის რაიონში“.

ორმა ელჩმა უნდა განაგრძოს მოლაპარაკება, რათა გამოინახოს ამ საერთო სურვილის განხორციელების პრაქტიკულად შესაძლო საშუალებანი“.

ცხადია, რომ არსებითად არავითარი განსხვავება არ არის ამერიკის მხრის ამ კონტრწინადადებასა და მისი 10 ნოემბრის განცხადების პროექტს შორის, რომელიც ჩინეთის მხარემ უკვე დიდი ხანია კატეგორიულად უარყო. ამერიკის მხარე კვლავ მოითხოვს, რომ ჩვენი მხარე დათანხმდეს იმაზე, რომ შეერთებულ შტატებს აქვთ „შეუვალი უფლება განახორციელონ ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვა“ ჩინეთის კუნძულ ტაივანის რაიონში. ამას ჩვენი მხარე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეთანხმება.

6). 1955 წლის 10 სექტემბრიდან ამერიკის მხარე აჭიანურებდა დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვას და უარს ამბობდა დაედო ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმება საკითხზე, რომელიც შეეხება ეგრეთწოდებულ უარისთქმას ძალის გამოყენებაზე; ამავე დროს იგი კვლავ ვევიჭრებოდა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე შეთანხმების განხორციელების შესახებ.

ფაქტები მოწმობენ, რომ სწორედ ამერიკის მხარე არღვევს ამ შეთანხმებას. ამ შეთანხმებით შეერთებული შტატები ვალდებული ჰრიან მიიღონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ჩინელებს შეეძლოთ სწრაფად გამოიყენონ თავიანთი უფლება და დაბრუნდნენ ჩინეთში. მაგრამ ამერიკის მხარეს დღემდე არ წარმოუდგენია ჩვენი მხრისათვის გვარების სრული სია და ცნობები, რომლებიც შეეხება ჩინელ რეზიდენტებსა და სტუდენტებს შეერთებულ შტატებში, და ამით უძნელებდა ინდოოთს განეხორციელებინა მესამე მხარის ამოცანები, როგორც ეს დაკმაყოფილია შეთანხმებაში. ამას წინათ შეერთებული შტატების მთავრობამ შემოიღო წესები, რომელთა თანახმად ჩინელებმა, რომლებიც შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, უნდა მიიღონ ტაივანზე ჩასვლის ვიზები, და ეს აშკარად იმ მიზნით, რომ წაართვან მათ ჩინეთში დაბრუნების უფლება. შეერთებულ შტატებში არის ათიათასობით ჩინელი. ამერიკის მხრის მუდმივი ობსტრუქციებისა და მუქარის შედეგად, რაც შეთანხმების დარღვევაა, მათმა დიდმა უმრავლესობამ დღემდე ვერ შეძლო ან ვერ გაბედა შეეტანა განცხადება ჩინეთში დაბრუნების შესახებ.

რაც შეეხება ამერიკელებს ჩინეთში, დავიწყოთ იქიდან, რომ მათი რიცხვი არც თუ ძალიან დიდია. ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების დროს ჩინეთში მყოფი 59 ამერიკელიდან, რომლებიც პატიჟს სცემენ კანონს, თექვსმეტსავე, რომლებმაც შეიტანეს განცხადება, მიეცა წასვლის ნებართვა. იმ 40 ამერიკელიდანაც კი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კანონის წინააღმდეგ ჩინეთში, 27 განთავისუფლებულ იქნა სასჯელის სრული ვადის მოხდამდე ჩინეთის მთავრობის ღმობიერი პოლიტიკის შედეგად.

მიუხედავად ამ ფაქტებისა, ამერიკის მხარე კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებაში დაუსაბუთებელ ბრალდებათა წამოყენებას. ეს შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ ცდად, რომ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას შეთანხმების დარღვევისათვის და იპოვონ საბაბი მოლაპარაკების გაჭიანურებისათვის.

7). დაძაბულობა ტაივანის რაიონში მთავარი საკითხია ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს შორის და ამ დაძაბულობას საფუძვლად უდევს ის, რომ შეერთებულმა შტატებმა მოახდინეს ჩინეთის ტერიტორიის შეიარაღებული ოკუპაცია. მიუხედავად ამისა, ჩინეთის მხარე კვლავ იმის მომხრეა, რომ ჩინეთისა და შეერთებული შტატების ეს დავა მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით და ჩინეთისა და ამერიკის ელჩების მოლაპარაკებისას მუდამ ცდილობს გამონახოს პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებანი ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ ამერიკის მხარე განზრახ აჭიანურებდა ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებს და უარს ამბობდა იმაზე, რომ დაიღოს შეთანხმება ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და ლიკვიდაციის საშუალებათა შესახებ და, პირიქით, მოითხოვს, რომ ჩინეთი დათანხმდეს სტატუს ქვოზე შეერთებული შტატების მიერ ტაივანის შეიარაღებული ოკუპაციის მიმართ.

ამავე დროს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა ამას წინათ კვლავ ყველას გასაგონად განაცხადა: იმისათვის, რომ დარჩეს ჩინეთის ტერიტორიაზე და დაარღვიოს ჩინეთის სუვერენიტეტი, იგი უყოყმანოდ დაიწყებდა ატომურ ომს. ამერიკელი აგრესორები ფიქრობენ, თითქოს ეს შეაშინებს ჩინელ ხალხს და აიძულებს უარი თქვას თავის სუვერენულ უფლებებზე. მაგრამ ეს ცდა არასოდეს არ დაგვირგვინდება წარმატებით. უკანასკნელი წლების ისეთმა ფაქტებმა, როგორიც არის დაზავება კორეაში, მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში და დაჩენის კუნძულებიდან წასვლა, წარმატებით ცხადყვეს იმ ხალხთა სიმძლავრე, რომელიც იბრძვიან მშვიდობისა და სამართლიანობისათვის, აგრეთვე ძალის პოზიციისა და ატომით დაშინების პოლიტიკის აშკარა გაკოტრება. თუ შეერთებული შტატების აგრესორებს სურთ კვლავაც განახორციელონ ატომით დაშინების ასეთი პოლიტიკა, მათ აუცილებლად მოელით სულ უფრო ძლიერი და სულ უფრო კატასტროფული დამარცხებანი.

ჩინეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების დროს უნდა გამოინახოს ტაივანის რაიონში დაძაბულობის შენელებისა და ლიკვიდაციის პრაქტიკულად შესაძლებელი საშუალებანი. ჩინეთის მხარემ უკვე შეიტანა გონივრული წინადადება, რომელიც აბსოლუტურად მისაღებია ორივე მხარისათვის. ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების მსვლელობაში მალე უნდა დაიდოს შეთანხმება ამ გონივრული წინადადების საფუძველზე და დაიწყოს ემბარგოს გაუქმების საკითხის მოწესრიგება და დაისვას ჩინეთისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისათვის მზადების საკითხი. მოლაპარაკების გაჭიანურება და მუქარა ვერ შეუწყობს ხელს საკითხის მოწესრიგებას.

კაღე ბობოხიძის შემოქმედებითი საღამო

დიდი ხანია ქართველი მკითხველისათვის ცნობილია პოეტ კალე ბობოხიძის შემოქმედება. ოცდაათი წლის მანძილზე კალე ბობოხიძის ლექსები იბეჭდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. იგი მრავალი წიგნის ავტორია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ახალი ამოცანები დასახეს. ჩვენი ქვეყნის მხატვრული სიტყვის ოსტატები მხარში უდგნენ პირველი სოციალისტური ქვეყნის მშენებლებს და კალმით იცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ეს იყო პროლეტარული მწერლობის ახალი თაობა, რომლის წარმომადგენელიც არის პოეტი კალე ბობოხიძე.

კალე ბობოხიძის პირველი ლექსები გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა 1926 წელს. იგი გაზეთის რედაქციასთან არსებულ კომკავშირულ მწერალთა წრის წევრი იყო. მისი ლექსები თავიდანვე მაღალი იდეურობით გამოირჩეოდა და მებრძოლი ხასიათისა იყო.

პოეტი თავის შემოქმედებაში ეხება ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალფეროვანი ცხოვრების სხვადასხვა საკითხს. იგი გულწრფელად უმღერის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ქვეყანას, საკოლმეურნეო სოფელს, ინდუსტრიულ ქალაქს, ჩვენი ქვეყნის ადამიანებს, სამამულო ომის გმირებს, ხალხთა მეგობრობასა და მშვიდობას. კალე ბობოხიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პროლეტარიატის ბელადების ლენინისა და სტალინის უკვდავ სახელებს. პოეტმა ლექსების ციკლი უძღვნა სტალინგრადის გმირ დამცველებსა და მშენებლებს; მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლირიკას.

მაღალდეურობით გამოირჩევა ლექსები საერთო სათაურით „ჰიმნი პარტიას“. აქ ნაჩვენებია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

კალე ბობოხიძის უკანასკნელ ლექსების წიგნში ბევრი საინტერესო და კარგად დაწერილი ლექსი გვხვდება. ასეთებია: „რუბენ იბარური“, „ია მწერლობის ფიცარი თუმა“, „მე ისეთი ლექსები მსურს ვწერო“ და სხვ.

ლექსში „ორმოცდაათი გაზაფხული“. პოეტი აღნიშნავს: „გავჭაღარავდი, მაინც მხნედ ვარ... გული კვლავ ღელავს ახალგაზრდული, თითქოს კვლავ ვიყო კომკავშირელი“. იგი დღესაც ახალგაზრდული მგზნებარებით უმღერის ჩვენს დიად ქვეყანასა და ხალხს.

• • •

ხვალ, 23 იანვარს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართება პოეტ კალე ბობოხიძის დაბადების ორმოცდაათი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მოხსენებას პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს გ. კაკაბაძე. მისასალმებელი ტოსტებითა და ლექსებით გამოვლენ მწერალნი. მეორე განყოფილებაში გაიმართება კონცერტი.

სსრ კავშირის XXIII საჰაერაკო ჩემპიონატი

ლენინგრადი, 20 იანვარი. (საკუთრ.). გუშინ გაიმართა სსრ კავშირის XXIII საჰაერაკო ჩემპიონატის მეექვსე ტური. ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერების სპასკისა და ტალის შეხვედრა, რაც მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. 38-ე სვლაზე ტალმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. შემდეგ დამთავრდა ბიშვილისა და ტოლუშის საინტერესო შეხვედრა. გაიმარჯვა ტოლუშმა.

გუშინ მხოლოდ ბანიკ-ანტოშინის პარტია დამთავრდა ყაიმით. კორჩნოიმ, რომელიც ეხლა ეგაევსკის ეთამაშებოდა, საინტერესო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა. ავერბახმა თავისი მოწინააღმდეგე ლისიცინი აიძულა დანებებოდა. ბოლესლავსკიმ ხასინის წინააღმდეგ ძლიერი პოზიცია მიიღო ცენტრში და ლაზიერის ფლანგზე. 44-ე სვლაზე ხასინი დანებდა. ხოლმოვმა მოუგო სიმაგინს, ბორისენკომ — რაგოზინს. ტაიმანოვისა და ზურახოვის პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ჩვენ ბავშვთა სახლში

დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება თბილისის ჩვენ ბავშვთა სახლის კოლექტივი. ნათელ გაკრიალებულ ოთახებში იზრდება უდედმამო და მარტოხელა დედების 90 ბავშვი 8 წლამდე. მათ აქ ჰპოვეს მზრუნველი ხელი, დედმამრივი ალერსი.

აი პატარები შალვა მაისურაძე და ზურაბ გულბანი, მანანა ასლანოვა, ზურიკო ლაბაძე და სხვები. ზოგი მათგანი სულ ჩვილია, ზოგი ახლა იდგამს ფეხს, ზოგი უკვე კარგად დარბის და ტიკტიკებს. თვითეულ მათგანს თავს ევლებიან მომვლელები, რომელთაგან ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ ლ. შენგელია.

პატარა ელისო ზარიძეს დედა ავადმყოფი ჰყავს. ბავშვი უკვე ერთი წელია ამ სახლში, სრულიად ჯანსაღია და ნორმალურად ვითარდება. ვასიკო თარალაშვილს, რომელიც ახლა ერთი წლისაა, დედა მშობიარობის დროს გარდაეცვალა. პატარამ მომვლელ ვ. ხუხობოკოვას სახით მეორე დედა ჰპოვა.

ხაბჭოთა ხელისუფლება მზრუნველობას არ აკლებს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს. ნორჩ ბავშვთა სახლში მათ აქვთ საუკეთესო კვება და მოვლა, სამედიცინო მეთვალყურეობა, უამრავი სათამაშო და გასართობი. აქ ბავშვები ახაკის მიხედვით დაყოფილი არიან ოთხ ჯგუფად. შედარებით ხუტი ბავშვები, რომლებსაც დამატებითი კვება ესაჭიროებათ, სანატორიულ ჯგუფში იმყოფებიან.

ჩვილ ბავშვთა სახლის სამზარეულოში კეთდება მათთვის შესაფერი საჭმელი. ჩვილთათვის შერჩეული ჰყავთ ჯანსაღი ძიძები. შუადღისას თბილად შეხვეულ ბავშვებს ახლაც, ზამთარში, აივანზე სუფთა ჰაერზე სძინავთ.

ამ სახლში ბავშვები სამ წლამდე იზრდებიან, შემდეგ კი მოზრდილ ბავშვთა სახლებში გადადიან. მაგრამ ძალიან ხშირად ბავშვები მიჰყავთ გასაზრდელად მოქალაქეებს. მარტო გასულ წელს ხაბავშვო სახლმა გაიშვილა 77 ბავშვი, რომლებსაც კეთილშობილ საბჭოთა მოქალაქეთა სახით ნამდვილი დედმამა გამოუჩნდათ.

ი. ბერძენიშვილი.

• • •

სურათზე: ჩვილ ბავშვთა სახლში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ პეტრაშვილის ქუჩაზე დამთავრდა მშენებლობა 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლისა, რომელიც ეკუთვნის „საქტუნგოს“ მუშა-მოსამსახურეებს. ახალი სახლის მშენებლობა დამთავრდა აგრეთვე № 3 აგურის ქარხნის მუშებისათვის ჩარგალის ქუჩაზე.

⊙ კინოფილმ „ბაში-აჩუკის“ გადაღება დაიწყო თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“. სცენარის ავტორები არიან ვ. კარსაძე და ლ. ესაკია, რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ესაკია, მთავარი ოპერატორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. კანდელაკი, მხატვარი რ. მირზაშვილი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე.

⊙ ახალი კინოთეატრი ეწყობა ბარნოვისა და არაყიშვილის ქუჩების კუთხეში აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში.

⊙ სამკერვალო საწარმოების სპეციალიზაციასთან დაკავშირებით თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკიდან ქალის კაბების კერვა გადაეცა საქართველოს მოდელების სახლთან არსებულ მასობრივი კერვის საამქროს. აქ კერვა იწარმოება მხატვარ მოდელიერთა უშუალო ხელმძღვანელობით.

ვ. მუხინას ნამუშევართა გამოფენა

დღეს, 22 იანვარს, ორ საათზე საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში იხსნება და თვენახევარს გაგრძელდება საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ვერა ეგნატეს ასულ მუხინას ნამუშევართა გამოფენა.

გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის ვ. ე. მუხინას სახელი ფართოდ არის ცნობილი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მოქანდაკის, მხატვრის, მხატვარ-დეკორატორისა და თეორიული სტატიების ავტორის ვ. მუხინას ნაწარმოებები მაღალი იდეური შინაარსითა და სრულყოფილი ფორმით გამოირჩევა. ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მან შექმნა მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომლებმაც ხალხის საერთო აღიარება დაიმსახურეს. მუხინა ავტორია ცნობილი ქანდაკებისა „მუშა და კოლმეურნე ქალი“, რომელიც ჩვენი დიდი სამშობლოს — მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის სიმბოლოდ იქცა.

ვ. მუხინას ნაწარმოებთა გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მოქანდაკის ასზე მეტი ნამუშევარი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

(ჯავახიშვილის ქ. № 1)

1956 წლის 2 თებერვალს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

შოთა ტარასის-ძე არსენიძე

დაიცავს დისერტაციის თემაზე: „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ი. ჯავახიშვილის ქ. № 1).

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე

ახალი პროგრამა ატრაქციონი ინდოეთის სპილოები

მწვრთნელი, რსფსრ დამსახურებული არტისტ